



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 28 სექტემბერი

**დისციპლინური საქმე №125/19
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 15 ივლისის №125 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 ივლისის №332/125-03 წერილით მოსამართლე -- -- ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ მიკერძოებულად განიხილა საქმე, არ მისცა საშუალება დაეყენებინა შუამდგომლობები და არ აკმაყოფილებდა მის კანონიერ მოთხოვნებს. მოსამართლემ არ მიიღო ზომები მოსარჩელის ადვოკატის მიმართ, რომელიც გიჟს ეძახდა მას 7 თებერვალს გამართულ სასამართლო სხდომაზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსარჩელე მხარის ადვოკატი ყოფილი მოსამართლე და -- -- დაქალია.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 21 ნოემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს მოპასუხე -- -- მიმართ განქორწინების მოთხოვნით.

2018 წლის 10 დეკემბერს მოპასუხე მხარემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში.

2019 წლის 3 იანვრის განჩინებით დაინიშნა მოსამზადებელი სხდომა 2019 წლის 24 იანვარს. სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2019 წლის 7 თებერვალს. 2019 წლის 7 თებერვლის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის თაობაზე დაკმაყოფილდა.

2019 წლის 14 თებერვალს გაიმართა სასამართლოს მთავარი სხდომა. 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2019 წლის 7 მარტს -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 15 ივლისის №125 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- -- №-- განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- -- გათავისუფლდა თანამდებობიდან, გარდაცვალების გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 15 ივლისის №125 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის - -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი